

მოკლე აღწერა: რამემს მოსწყინდა რუტინული ცხოვრება და თავგადასავლების სურვილით შეპყრობილი, ინდოეთიდან გერმანიისკენ გამოემშურა და კერძოდ, აგსბურგის უნივერსიტეტში სწავლა გადაწყვიტა. მან პირველივე დღეს მოინახულა მთავარი და მნიშვნელოვანი ბიუროები, რაც როგორც დაწყებმა სტუდენტმა უნდა იცოდეს. იგი ასევე აგროვებს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც მას დაეხმარება, უნივერსიტეტსა და სტუდენტურ ცხოვრებას თავი გაართვას.

რამეში: – უკაცრავად! ეს ტრამვაი უნივერსიტეტამდე მიდის?

ავტორი: მოხუცი თანამგზავრი თავს უქნევს. რამემს სიხარულისგან გული უძგერს. როგორც იქნა მიაღწია მას, რაზეც ოცნებობდა. დატოვა თავისი სამშობლო – ინდოეთი და გერმანიისკენ გამოემშურა. იგი გერმანულს იმდენად კარგად ფლობდა, რომ თავიდანვე ნათელი იყო, თუ საით აიღებდა გეზს. თვეების განმავლობაში იბრძოდა იმისათვის, რომ ადგილი მიეღო გერმანიის უნივერსიტეტში და მიზანსაც მიაღწია. იგი მოუთმენლად ელოდება გერმანიასთან შეხვედრას, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო მას მშობლებისა და საუკეთესო მეგობრების მიტოვება მოუხდა.

რამეში: – ღმერთო...!!! ჩემი პირველი დღე უნივერსიტეტში!!!.. დღეს მხოლოდ ჩემს სტუდ–ბიბეთს გამოვიტან კანცელარიიდან.. ჰმ.. ანუ შენობა ,, ა” .. მაგრამ როგორ მოვხვდე ამ შენობასთან???? .. უკაცრავად! შეგიძლიათ მითხრათ აქ სად არის კანცელარია???

გამვლელი: – კი ბატონო! აგერ, მარჯვნივ პირველი შესასვლელი კარი!

რამეში: – დიდი მადლობა!
... ჰეი! შენ ახალი ხარ აქ? რას აკეთებ აქ!

სტუდენტი: – არა, მე დიდი ხანია უკვე აქ ვსწავლობ.. ახლა განაცხადის შეტანა მინდა, ჩემი სწავლის გადასახადთან დაკავშირებით.. შემძლია რამით დაგეხმარო?

რამეში: – გმადლობთ, მაგრამ მე მხოლოდ ჩემი სტუდ–ბილეთის წასაღებად მოვედი, თუმცა კარგი იქნება თუ მეცოდინება, კიდევ რა შემთხვევაში შემძლია მოვმართო კანცელარიას.

სტუდენტი: – სხვადასხვა ინფორმაციები სწავლასთან დაკავშირებით, მაგ: აქვე ნახავ სხვადასხვა განცხადებების ფორმულარს, თუნდაც განაცხადისა და საბუთების შეტანაზე უნივერსიტეტში სწავლისთვის. თუ ყველა ამ პროცედურებს წარმატებით გაივლი, ჩაირიცხები და მოგეცემა სწავლის უფლება.

რამეში: – ააჰ! ეს მე ინდოეთიდან ფოსტის საშუალებით გავაკეთე.. მაგრამ კიდევ რა განცხადებებია? შეგიძლია უფრო კონკრეტულად ამიხსნა?..

სტუდენტი: – მაგ: თუ აკადემიურის აღება გინდა პრაქტიკის გასაკეთებლად, ანდაც ფაკულტეტის შეცვლა გსურს. ამასგარდა, თუ სემესტრის გადასახადისგან გათავისუფლება გსურს, ასეთი სახის განცხადებებიც აქ შემოდის. მთელი რიგი ინფორმაციები, რაც კანცელარიას უკავშირდება, შეგიძლია სახლში თავადაც ნახო ინტერნეტის საშუალებით. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეხვალ რუბრიკაში „დაწესებულებები“, მანდვე მოძებნი კანცელარიას, სადაც ინფორმაციებსაც გაეცნობი და ფორმულარების გადმოტვირთვაც შეგიძლია.

რამეში: – კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა! კარგია, როგ შენ შეგხვდი!

სტუდენტი: – სხვათაშორის, შენ, როგორც უცხოელ სტუდენტს, ქალბატონი როედერიც ძალიან კარგ რეკომენდაციებსა და რჩევებს მოგცემს. ის არის კომპეტენტური ინტერნაციონალური სტუდენტებისთვის, მათი დოკუმენტებისა და განცხადებებისთვის. მასთანაც შეიარე, ამავე შენობაშია, თუ არ ვცდები № 1032 კაბინეტშია.

ავტორი: აქვე, ქალბატონ როედერთან შეიტყობს რამეში, რომ გერმანული სკოლის დამამთავრებელი დოკუმენტით „აბიტურით“ ნებისმიერ ფაკულტეტზე სწავლა შესაძლებელია. უცხოური სკოლის დამამთავრებელი მოწმობით კი ეს შესაძლებლობა შეზღუდულია. თუმცა, ქალბატონი როედერი შეძლებისდაგვარად ეხმარება უცხოელ სტუდენტებს, რომ მათ სასურველ ფაკულტეტებზე ისწავლონ. რამეშს საბედნიეროდ ეს პრობლემა უკვე მოგვარებული აქვს. იგი ჩარიცხულია აუგსბურგის უნივერსიტეტში და აღარ ესაჭიროება ქალბატონი როედერის დახმარება. გარეთ გამოსული რამეში აღმოაჩენს სტუდენტთა დახმარების ბიუროსკენ, ე.წ „Studentenwerk“, მიმავალ გზას.

რამეში: – როგორც ჩანს უნივერსიტეტს ძალიან ბევრი, კარგი შემოთავაზებები აქვს... იქნებ ერთი აქაც შემეველო.

ავტორი: შემონაში შემოსულ რამეშს შემოხვდება მიხაელ ნოგეროს. იგი ამ ბიუროს თანამშრომელია.

რამეში: – გამარჯობა! მე რამეში გახლავართ. თქვენი გზამკვლევის დახმარებით ადვილად მოგაგენით. რას წაროადგენს სტუდენტთა დახმარების ბიურო და რა ფუნქციები არულებს?

მიხაელ ნოგერო: – ჩვენი ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი განშტოებაა – სწავლის საფინანსო ბიურო, სადაც სტუდენტები ბაფოგზე* განაცხადებით შემოდებიან. ამავე ბიუროს კომპეტენციაა, აუგსბურგის სტუდენტურ საცხოვრებლებში ოთახის მოთხოვნაზე შემოსული განცხადებების დაკმაყოფილება.

ავტორი: ამასგარდა, სტუდენტთა დახმარების ბიუროს აქვს მრავალი სხვა შემოთავაზებებიც.

მიხაელ ნოგერო: – ამავე ადგილზე, შეუძლიათ სტუდენტებს რჩევებისთვის მოგვმართონ, თუ კი ეს მათი სწავლის პრობლემებს უკავშირდება.

ავტორი: ამავე ბიუროს თანამშრომლები, ეხმარებიან სტუდენტებს, როცა მათი ფინანსები არასაკმარისია და მაშინაც, როდესაც მათ, უფლებებთან ან ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული რჩევები ესაჭიროებათ. ამასგარდა, მათი მხრიდან ხდება სტუდენტების კვების საკითხის კურირება, რომლის განკარგულებაშიც უნივერსიტეტის სასადილო და კაფეტერიაა. ასევე აღნიშვნის ღირსია, ტალანტების ყოველწლიური შეჯიბრი, რომელიც ამავე ბიუროს ორგანიზებით ტარდება.

მიხაელ ნოგერო: – ამ შეჯიბრში მონაწილეობის მსურველებს, შეუძლიათ რეგისტრაცია ჩვენთან გაიარონ. ასეთი სადამოები ყოველთვის დიდი ინტერესის საგანია.

რამეში: – საინტერესოდაც ჟღერს! ამ წარმოდგენას უკვე დიდი სიხარულით ველი.. არის კიდევ რაიმე, რაც როგორც სტუდენტმა უნდა ვიცოდეთ?

მიხაელ ნოგერო: – ყველაზე მთავარია, რომ კითხვა იქნას დასმული..თუ ვინმეს რაიმე შეკითხვა აქვს, თუნდაც ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდეს, შეუძლია მაინც მოგვმართოს. ან თუნდაც e-maili მოგვწეროს ან დარეკოს. ამასგარდა, ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია www.Studentenwerk-augsburg.de . აქვე, მნიშვნელოვანი ინფორმაციების გვერდით, შეიტყობთ, თუ რა დროს არის შესაძლებელი დაინტერესებული პირებისთვის მდივნებთან გასაუბრება.

ავტორი: ასევე დიდ დახმარებას გაგიწევთ დაბეჭდილი ბროშურა სათაურით „სწავლა აუგსბურგსა და კემპტენში* ” რომელიც რამეშმა კანცელარიაში მიიღო.

რამეში: – ჰოჰ! საკმაოდ დამაბული დღე იყო, ვიდრე წარმომედგინა. მაგრამ თავიდან არც ვიცოდი სად რა უნდა მეპოვნა...საბედნიეროდ აქ ძალიან ბევრი გულისხმიერი ადამიანია, რომელთაც ჩემი დახმარება შეუძლიათ, მთავარია კაცმა იკითხოს რაც აინტერესებს. ახლა კი შემძლია ვთქვა, რომ ჩემი, როგორც აუგსბურგელი სტუდენტის ცხოვრება იწყება!

შენიშვნა:

* **Bafög** - ეს არის თანხა, რომელსაც გერმანიაში სტუდენტები სახელმწიფოსგან იღებენ, სწავლის დასაფინანსებლად. თანხას სტუდენტი უბრუნებს სახელმწიფოს, სწავლის დასრულების შემდგომ ეტაპობრივად

* კემპტენი - ქალაქი გერმანიაში (ბაიერნში)

ავტორები: ტერეზა ფეი და იოჰანეს ბაიერი

Übersetzt von
Natia Tsikelashvili